

საქართველოს ელექტროენერჯეტიკის მარეგულირებელი

ეროვნული კომისია (სეპსი)

დამტკიცებულია სეპსი-ის 1999 წლის 24 მარტის
#14 გადაწყვეტილებით

წლიური ანგარიში

შინაარსი

წინასიტყვაობა	3
I შესავალი	5

1.1. “ელექტროენერგეტიკის შესახებ” საქართველოს კანონის მოკლე მიმოხილვა. 5

1.2. სემეკ-ის ძირითადი ფუნქციები. 7

II საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია: სტრუქტურა, მატერიალურ-

ტექნიკური აღჭურვილობა და ფინანსირება. 8

2.1. სტრუქტურა და კადრებით უზრუნველყოფა 8 ა) კომისიის წევრები; 8 ბ) კომისიის აპარატი. 10

2.2. მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა. 11 ა) ოფისი და მისი მოწყობილობა; 11 ბ) კომპიუტერული და კავშირგაბმულობის ტექნიკა; 11 გ) სატრანსპორტო საშუალებები. 11

2.3. ფინანსური უზრუნველყოფა 11 ა) სალიცენზიო გადასახდელი; 12 ბ) ტექნიკური დახმარება; 13 გ) სხვა შემოსავლები. 14

III საანგარიშო პერიოდში სემეკ-ის მიერ გაწეული საქმიანობა 14

3.1. ტარიფების დადგენა და რეგულირება; 14

3.2. სატარიფო მეთოდოლოგიის შემუშავება; 17

3.3. ლიცენზირება; 19

3.4. ელექტროენერგეტიკის საბითუმო ბაზრის ჩამოყალიბების ძირითადი პრინციპების დადგენა; 20

3.5. პრივატიზაცია; 20

3.6. სხვა ფუნქციონირება განხორციელება. 23

I V ლიცენზიების წესებისა და პირობების შესრულება 25

4.1 წარმოება 25

4.2 გადაცემა-დისპეტჩერიზაცია 28

4.3 განაწილება 30

V დანართები 34

საბჭოთა წლებში საქართველოს ელექტროენერგეტიკა წარმოადგენდა

ვერტიკალურად ინტეგრირებულ რეგულს და უშუალოდ საბჭოთა კავშირის ერთიან ენერგეტიკულ სისტემაში შედიოდა.

საქართველოს ელექტროენერგეტიკაში ფართომასშტაბიანი ეკონომიკური რეფორმები უკანასკნელი სამი წელია მიმდინარეობს. კერძოდ, დარგის ძირეულ ორგანიზაციულ-ეკონომიკურ გარდაქმნას ითვალისწინებდა საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 4 ივლისის №437 ბრძანებულება “ელექტროენერგეტიკული სექტორის რესტრუქტურისაციის შესახებ”.

ამ დოკუმენტის შესაბამისად დეპარტამენტ “საქენერგოს” რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა ფინანსურად დამოუკიდებელი 3 სექტორი - გენერაციის, გადაცემა-დისპეტჩინგის და განაწილების. გენერაციის სექტორში შემაჯავალი 15 საწარმოს ბაზაზე დაფუძნებული იქნა სააქციო საზოგადოებები, რომელთა აქციები მათ განლაგებაზე გადაწყვეტილების მიღებამდე მთლიანად სახელმწიფოს საკუთრებაშია და მართვის უფლებით გადაცემული აქვს ამ მიზნით შექმნილ სამსახურს -სახელმწიფო კომპანია “საქენერგოგენერაციას”.

გადაცემა-დისპეტჩინგის სტრუქტურა გარდაიქმნა ერთიან კომერციალიზებულ, ფინანსურად ავტონომიურ სახაზინო საწარმოდ - “საქენერგოდ”, ხოლო განაწილების სტრუქტურები დაცალკევდნენ ტერიტორიული პრინციპით.

1998 წელს კი დამატებით განხორციელდა სახელმწიფო კომპანია “საქენერგოს” რეორგანიზაცია ორ სტრუქტურულ ერთეულად: მართვისა და დისპეტჩინგის სახელმწიფო სამსახურად (რომელმაც უნდა უზრუნველყოს ერთიანი ენერგეტიკული სისტემის მართვა და რეჟიმი) და მაღალი ძაბვის 35,110,220,330,500 კვ გადაძვეტი და შესაბამისი ქვესადგურების ერთიანი ქსელის სახელმწიფო საწარმოდ - „ელექტროგადაცემა“.

საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 4 ივლისის №437 ბრძანებულებით, ელექტროენერგეტიკა აღიარებულია პრიორიტეტულ დარგად; გათვალისწინებულია ენერგეტიკის განსაკუთრებული ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა, აგრეთვე დარგში რაციონალური სახელმწიფო პოლიტიკის გატარების, მისი რეგულირების ფუნქციისა და კომერციული საქმიანობის გამიჯვნის, დემონოპოლიზაციის, კერძო მესაკუთრეობისა და საბაზრო ურთიერთობათა განვითარების აუცილებლობა.

გარდაქმნათა დიდი და რთული პროცესის უმნიშვნელოგანესი შემაჯავნელი ნაწილი იყო ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის შექმნა, რომელიც ამ ბრძანებულებით თავდაპირველად ეკონომიკის სამინისტროსთან ჩამოყალიბდა. კომისიას საწყის ეტაპზე ელექტროენერგის საბითუმო და საცალო ტარიფების რეგულირება დაევადა.

ასეთი სამსახურის შექმნა, პირველ რიგში, ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობების პრინციპებიდან გამომდინარეობს.

ცნობილია, რომ ელექტროენერგით საიმედო და ხარისხიანი უზრუნველყოფა საზოგადოებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია და აქედან გამომდინარე, მას სახელმწიფოს განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროება. მდგომარეობას კიდევ უფრო აძლიერებს ის გარემოება, რომ ეს დარგი ბუნებრივ მონოპოლიას წარმოადგენს, სადაც კონკურენცია გარკვეულწილად შეზღუდულია. ამ საქმის თავისუფალ საბაზრო ურთიერთობათა იმედზე მიტოვება არ შეიძლება. ასეთ პირობებში სწორედ ეკონომიკური რეგულირება ენაცვლება კონკურენციას. დაცვა ესაჭიროება ელექტროენერგის როგორც

მწარმოებლებს, ისე მომხმარებლებს. განსაკუთრებით ეს ითქმის ელექტროენერჯის ტარიფებსა და მომსახურების ხარისხის სფეროებზე. ორივე შემთხვევაში რეგულირება იმგვარად ემსგავსება საბაზრო ქცევებს, თითქოს ადგილი ჰქონდეს კონკურენციას. რეგულირება საზოგადოებას მაქსიმალურად პრივილეგირებულს ხდის და მინიმალურ გადასახადებს აწესებს კონკურენციის არარსებობის პირობებში. კონკურენტუნარიანი ბაზრის მსგავსად, ელექტროენერჯია მიეწოდება მხოლოდ იმ მომხმარებელს, რომელსაც სურს და შეუძლია მომსახურების საფასურის გადახდა; სამაგიეროდ ამ შემთხვევაში ელექტროენერჯიაზე ფასები უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე მონოპოლიის ან კონკურენციის არსებობის სხვა ალტერნატივების დროს.

ჩამოთვლილი ფუნქციების შესრულება სახელმწიფო სტრუქტურებიდან ყველაზე რაციონალურად შეუძლია დამოუკიდებელ მარეგულირებელ კომისიას. ეს აღიარებულია მსოფლიოში. ელექტროენერჯის დამოუკიდებელ რეგულირებას უკვე 100 წელია ეფექტიანად თვლის აშშ და იგივე გზა აირჩიეს დემოკრატიულმა ქვეყნებმა. ამჟამად დამოუკიდებელ რეგულირებას მიმართეს ისეთმა ქვეყნებმა, როგორცაა დიდი ბრიტანეთი, უკრაინა, უნგრეთი, პოლონეთი, არგენტინა, ნორვეგია, შვედეთი, აგრეთვე ლათინური ამერიკის, ევროპისა და აზიის სხვა ქვეყნები, აგრეთვე პოსტსაბჭოთა დამოუკიდებელი სახელმწიფოების უმეტესობა. ამ მხრივ ყველაზე წინ წავიდა ბალტიისპირეთის ქვეყნები, უკრაინა, სომხეთი, ყირგიზეთი. დამოუკიდებელი რეგულირება ხელსაყრელია ელექტროენერჯის როგორც მომხმარებლისათვის, ისე მიმწოდებლისათვის, აგრეთვე ინვესტორისათვის და თვით სახელმწიფოსათვის. ამგვარ რეგულირებას ამჯობინებენ საერთაშორისო სააგენტოებიც.

1997 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი “ელექტროენერჯეტიკის შესახებ”, რომელმაც ერთმანეთისაგან გამიჯნა მესაკუთრეობის, ოპერატიულსამეურნეო და მარეგულირებელი ფუნქციები. კანონმა შექმნა ისეთი სამართლებრივი საფუძვლები, რომლებიც უზრუნველყოფენ საბაზრო ურთიერთობების დანერგვას, ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ელექტროენერჯის კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბებას; კანონმა ფაქტობრივად აღიარა საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული პრინციპები, რათა მომხდარიყო საქართველოს ენერჯეტიკული დარგის ინტეგრაცია ანალოგიურ საერთაშორისო სისტემებთან მსოფლიოში აპრობირებული წესებით. ამ კანონის საფუძველზე კომისია გამოეყო საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სამსახურად და ეწოდა საქართველოს ელექტროენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკ).

ქვემოთ მოცემულია სემეკ-ის საქმიანობის ანგარიში მისი შექმნის დღიდან 1998 წლის ბოლომდე, აგრეთვე მისი ფუნქციები, სტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და ფინანსური უზრუნველყოფა.

I შესავალი

1.1. “ელექტროენერჯეტიკის შესახებ” საქართველოს კანონის მოკლე მიმოხილვა.

“ელექტროენერჯეტიკის შესახებ” საქართველოს კანონი პარლამენტმა მიიღო 1997 წლის 27 ივნისს. იგი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე 1997 წლის 1 აგვისტოს და

წარმოადგენს ძირითად ნორმატიულ დოკუმენტს ელექტროენერგეტიკის სფეროში. “ელექტროენერგეტიკის შესახებ” კანონის მიღებით საქართველოს ხელისუფლებამ ფაქტიურად გამოხატა თავისი პოლიტიკური ნება ეკონომიკის მართვის დეცენტრალიზაციისა და ბუნებრივი მონოპოლიის ნიშნის მატარებელი დარგის დამოუკიდებელი რეგულირების შესახებ.

ამ კანონის მიღებით განისაზღვრა ურთიერთობა ელექტროენერგეტიკის სტრუქტურულ ერთეულებს შორის, შეიქმნა სამართლებრივი საფუძვლები დარგში საბაზრო ურთიერთობების დანერგვისათვის, ინვესტიციების მოზიდვისათვის, ელექტროენერგეტიკის კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბებისათვის და სხვა. “ელექტროენერგეტიკის შესახებ” საქართველოს კანონი შედგება 7 თავისაგან და მოიცავს 44 მუხლს. პირველ თავში განხილულია კანონის ზოგადი დებულებები, მისი მიზნები და ამოცანები; აქვე მოყვანილია გამოყენებული სპეციფიკური ტერმინების ახსნა-განმარტებები.

კანონის მეორე თავი მიძღვნილია ელექტროენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისადმი. საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ევალება ქვეყანაში ენერგეტიკული პოლიტიკის წარმართვა, დარგის განვითარების სტრატეგიისა და პრიორიტეტების, საინვესტიციო პოლიტიკისა და ეკონომიკის დარგებში ენერგოეფექტიანობის ამაღლების სტრატეგიის განსაზღვრა, დარგის რეფორმების რაციონალურად წარმართვისა და საკადრო პოლიტიკის უზრუნველყოფა; აგრეთვე საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის განვითარება, ტექნიკური და ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგი, საგანგებო ენერგეტიკულ სიტუაციებში სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა.

კანონის მესამე და შემდეგი თავები დათმობილი აქვს ელექტროენერგეტიკის რეგულირებას და ამ მიზნით საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) შექმნისა და ფუნქციონირების საკითხებს; აგრეთვე ელექტროენერგეტიკის სექტორში დასაქმებული ფიზიკური და იურიდიული პირების უფლება - მოვალეობებს.

კანონის მხედვეთ სემეკ-ი არის დამოუკიდებელი, არაპოლიტიკური საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობაში არ ექვემდებარება არცერთ სხვა სახელმწიფო ორგანოს და ხელმძღვანელობს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით სემეკ-ის დებულებისა და საქმის წარმოების წესის შესაბამისად. კომისიის საქმიანობა წარმართება სრული საჯაროობის პირობებში, რაც უზრუნველყოფილია კომისიის სახელმძღვანელო ნორმატიული აქტებისა და გადაწყვეტილებების შეუფერხებელი მიწოდებით დაინტერესებული მხარეებისათვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და ფართო საზოგადოებისათვის.

კანონში დაწვრილებით არის განხილული ისეთი საკითხები, როგორც არის ელექტროენერგეტიკულ დარგში საქმიანობის ლიცენზირების წესები, პირობები და პრინციპები, ელექტროენერგეტიკის ტარიფების დაწესება და რეგულირება, გადაწყვეტილებების მიღების პროცედურული საკითხები, კომისიის წევრების მოღვაწეობის და პასუხისმგებლობის ასპექტები, მათი უფლებამოსილების დაწესებისა და შეწყვეტის წესები, კომისიის ძირითადი უფლებები და მოვალეობები, კომისიის ბიუჯეტის, სალიცენზიო გადასახდელის, ფინანსური ანგარიშგების საკითხები, კომისიის მიერ სამართლებრივი აქტების გამოცემის წესები და სხვა. კომისია გასცემს ელექტროენერგეტიკის წარმოების, გადაცემის, დისტრიბუციისა და განაწილების ლიცენზიებს კომისიის მიერ

დამტკიცებული წესების, პირობების და პრინციპების შესაბამისად. დაწვრილებით მოყვანილია ძირითადი მოთხოვნები ლიცენზიების მიღებაზე, მისი მოქმედების ვადებზე, მოდიფიცირებაზე და შეჩერებაზე, ლიცენზიატის უფლება-მოვალეობებზე და ფინანსურ გარანტიებზე.

კანონის VI თავი ეძღვნება ტარიფების დადგენას. კომისიას მიეცა ფართო უფლებამოსილება ელექტროენერჯის ყველა საფენურის საბითუმო და საცალო სატარიფო პოლიტიკის წარმართვაში. განსაზღვრულია ის ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც ასახავს ტარიფების როლს ელექტროენერჯეტიკის რეაბილიტაციისა და განვითარების საქმეში. მოყვანილია იმ კრიტერიუმთა ნუსხა, რომელსაც უნდა დაეყრდნოს კომისია ლიცენზიატების მიერ წარმოდგენილი სატარიფო განაცხადების განხილვის, ტარიფების დადგენის და რეგულირების დროს. ჩამოყალიბებულია მოთხოვნები ერთიანი საბუღალტრო-სააღრიცხვო სისტემის შექმნის შესახებ.

ბოლო, მეშვიდე თავი ეძღვნება კანონის გარდამავალ და დასკვნით დებულებებს. სალიცენზიო საქმიანობაში დასაქმებული ყველა პირი კანონის ძალაში შესვლის დღიდან იღებს შუალედურ ლიცენზიას, რომელიც ეძლევა მას ორი წლის ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ გაიცემა გრძელვადიანი ან უვადო ლიცენზია. ამავე თავში მოყვანილია იმ ნორმატიული აქტების ნუსხა, რომლებიც კარგავენ თავის ძალას კანონის ამოქმედების დღიდან.

“ელექტროენერჯეტიკის შესახებ” საქართველოს კანონის მიღება თვისებრივად ახალი ეტაპის დასაწყისია ჩვენი ქვეყნის ენერჯის სექტორისათვის. ამ ღონისძიების განხორციელებით გაცილებით უკეთესი შესაძლებლობები იქმნება საქართველოს ელექტროენერჯეტიკულ სექტორში არსებული პრობლემების გამოვლენისა და გადაჭრისათვის. კერძოდ, საფუძველი ეყრება თვითდაფინანსებას, მაღლდება ელექტროენერჯით სარგებლობის საფასურის გადახდის შესაძლებლობა, სტიმულირდება სექტორში კერძო ინვესტიციების განხორციელება, წესდება სამართლიანი `თამაშის წესები` ელექტროენერჯეტიკულ სექტორში შემავალი ყველა სუბიექტისათვის:

დამოუკიდებელი რეგულატორის შექმნით ელექტროენერჯეტიკული დარგი თავს იზღვევს პოლიტიკური ჩარევისაგან. კერძოდ, ასეთი ზეწოლისაგან უკეთ იქნება დაზღვეული ტარიფები; აგრეთვე დარგში განსახორციელებელი რეგულირების სხვა მიმართულებები; ერთმანეთს გაემიჯნა სახელმწიფოს ფუნქციები, კომერციული და რეგულირების როლი; გარდა ამისა, ელექტროენერჯეტიკის მარეგულირებელი სამსახურის შექმნით კარგი სიგნალი იგზავნება საერთაშორისო ორგანიზაციებში. მკვიდრდება საქართველოს ეკონომიკაში მკაფიოობის და გარკვეულობის ნიშანი; საქართველოს ეკონომიკა ინტეგრირდება საერთაშორისო ორგანიზაციებთან; რესპუბლიკის ელექტროენერჯეტიკულ სექტორში ვითარდება და ფართოვდება სტაბილურობა; ძლიერდება დახმარების მოზიდვის შესაძლებლობა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.

თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ენერჯეტიკის ახლანდელ მდგომარეობას, მის როლს ქვეყნის ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანასა და აღმავლობაში, შეიძლება გააკეთდეს ერთი დასკვნა:

-ელექტროენერჯეტიკის რეგულირების ინსტიტუტის ჩამოყალიბება საქართველოს სახელმწიფო ინტერესს წარმოადგენს.

1.2. სემეკ-ის ძირითადი ფუნქციები

საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ძირითადი ფუნქციებია:

- ელექტროენერგის (სიმძლავრის) საბითუმო და საცალო ტარიფების დადგენა და რეგულირება;

- ექსპლუატაციაში შესულ ელექტროენერგეტიკულ ობიექტებზე ლიცენზიების გაცემა, განახლება, შეჩერება და გაუქმება;

- ლიცენზიის პირობების დადგენა და მათი შესრულების კონტროლი;

- ელექტროენერგეტიკასთან დაკავშირებული სადავო საკითხების განხილვა და გადაწყვეტა;

- კონკურენციის ხელშეწყობა ელექტროენერგეტიკულ სექტორში, ელექტროენერგის მწარმოებელთა, მიმწოდებელთა და მომხმარებელთა ინტერესების დაბალანსება;

- ელექტროენერგის საბითუმო ბაზრის ჩამოყალიბების ზედამხედველობა;

“ელექტროენერგეტიკის შესახებ” საქართველოს კანონის 21-ე მუხლის თანახმად, “კომისია ადგენს თავის საქმიანობის შესახებ ყოველწლიურ ანგარიშს, რომელსაც უგზავნის საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს. ანგარიში ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის”.

კანონმა სემეკ-ს მიანიჭა დამოუკიდებლობის საკმაოდ მაღალი სტატუსი. კერძოდ, იგი არის მუდმივმოქმედი, არაპოლიტიკური, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობაში არ ექვემდებარება არც ერთ სხვა სახელმწიფო უწყებასა და ორგანიზაციას. კომისია თავის კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს დადგენილებებს, რომლებიც წარმოადგენენ ნორმატიულ აქტებს ელექტროენერგეტიკის სფეროში.

II. საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია: სტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და ფინანსირება

2.1. სტრუქტურა და კადრებით უზრუნველყოფა

ა) კომისიის წევრები

“ელექტროენერგეტიკის შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, კომისია შედგება სამი წევრისაგან, რომლებიც თანამდებობებზე დაინიშნენ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 აგვისტოს №351 განკარგულებით, მათგან თავმჯდომარეა ელიზბარ ერისთავი, წევრები - დემურ ჩომახიძე და პაატა ცინცაძე. მათი ბიოგრაფიული მონაცემები ასეთია:

ელიზბარ ერისთავი

დაიბადა 1938 წელს. 1960 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტი.

შრომითი საქმიანობა დაიწყო სსი “საქენერგობროექტში” 1960 წელს ჯერ ინჟინრის, შემდგომ უფროსი ინჟინრის თანამდებობაზე. ინსტიტუტის რეორგანიზაციის შემდეგ

მუშაობდა ყოფილი საკავშირო სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საძიებო ინსტიტუტ “ენერგოქსელპროექტში” უფროსი ინჟინრის, ჯგუფის ხელმძღვანელის, პროექტის მთავარი ინჟინრის, ქვესადგურების განყოფილების უფროსის, ინსტიტუტის მთავარი ინჟინრის მოადგილის თანამდებობზე. 1979 წელს დაინიშნა საქართველოს ინსტიტუტის “ენერგოქსელპროექტის” დირექტორად, სადაც მუშაობდა 1997 წლამდე.

1969-1972 წლებში მუშაობდა ეგვიპტის ელექტრული კორპორაციის საპროექტო ორგანიზაცია “ენერგოპროექტში” პროექტის მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე.

1966-1969 და 1972-1977 წლებში შეთავსებით ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტზე.

1995-1997 წლებში იყო საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს კოლეგიის წევრი.

საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 აგვისტოს №351 განკარგულებით დაინიშნა საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარედ.

1981 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ინჟინრის წოდება.

არის საქართველოს ეროვნული ენერგეტიკული აკადემიის პრეზიდიუმის წევრი.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით 1998

წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. ჰყავს

მეუღლე, ორი შვილი და სამი შვილიშვილი.

დემურ ჩომახიძე

დაიბადა 1939 წელს. 1964 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, შემდგომ საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1964 წელს “ჭიათურმანგანუმის” ტრესტის სისტემაში.

1969 წლიდან მუშაობდა საქართველოს სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ინჟინერ-ეკონომისტად, შემდგომ იყო მძიმე მრეწველობის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, სექტორის გამგე, ხოლო 1981 წლიდან განყოფილების გამგე.

საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 აგვისტოს № 351 განკარგულებით დაინიშნა საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრად.

არის ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიისა და ენერგეტიკული ეროვნული აკადემიის წევრი, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, ოსუ-ისა და სხვადასხვა ინსტიტუტების საკვალიფიკაციო და სამეცნიერო საბჭოების წევრი. მრეწველობისა და სათბობ-ენერგეტიკის ეკონომიკის საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს 80-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 10 წიგნი და ბროშურა.

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი.

პაატა ცინცაძე

დაიბადა 1959 წელს. 1980 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი სამდინარო ნაგებობებისა და ჰესების ჰიდროტექნიკური მშენებლობების სპეციალობით, შემდგომ მოსკოვის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტის ასპირანტურა.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1993 წელს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად. იყო სამეცნიერო-საწარმოო ფირმა “ენერჯის” გენერალური დირექტორი.

1995 წელს დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო მეთაურის აპარატთან არსებული მცირე ჰესების პრობლემების ცენტრის ხელმძღვანელად, შემდგომ სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის მთავარი სახელმწიფო კოორდინატორის მოადგილედ.

1996 წელს გადაყვანილ იქნა სახელმწიფო კანცელარიის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის საკონსულტაციო ჯგუფის სახელმწიფო მრჩეველად.

საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 აგვისტოს №351 განკარგულებით დაინიშნა საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრად.

არის ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ენერგეტიკული ეროვნული აკადემიის წევრი, აქვს 14 სამეცნიერო ნაშრომი.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ბ) კომისიის აპარატი

1999 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომისიის აპარატი შედგება 20 მუშაკისაგან. აპარატი ძირითადად დაკომპლექტებულია ინჟინერ-ენერგეტიკოსებით, ეკონომისტებით და იურისტებით. კერძოდ, აპარატის 16 სპეციალისტიდან ინჟინერ-ენერგეტიკოსია 5 ანუ საერთო რაოდენობის 31,3% , ეკონომისტი - 4 ანუ 25,0% და იურისტი - 2 ანუ 12,5%. გარდა ამისა, აპარატში არიან სხვადასხვა საინჟინრო სპეციალობისა და კომპიუტერული ტექნიკის მუშაკები (5 მუშაკი, 31.2%). აპარატის ხელმძღვანელობს აღმასრულებელი დირექტორი რომან უშვერიძე, რომელიც ინჟინერ-ელექტრიკოსია და აქვს ელექტროენერგეტიკაში მუშაობის მდიდარი გამოცდილება. აპარატის მუშაკების მიღება წარმოებს საკონტრაქტო სისტემით. ფინანსური სიძნელეების გამო ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა აპარატის სრული დაკომპლექტება. ქვემოთ მოტანილ ცხრილში მოცემულია აპარატის მუშაკთა სია და მათ მიერ დაკავებული თანამდებობები.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, კომისიას დროებით ჰყავს 8 ადგილობრივი კონსულტანტი, მათ შორის 4 ენერგეტიკოსი, 2 ეკონომისტი, 1 იურისტი და 1 კომპიუტერული ტექნიკის სპეციალისტი. სულ კომისიაში და მის აპარატში საქმიანობას ეწევა 31 პირი.

აპარატის მუშაკები და კონსულტანტები

№	მუშაკები	თანამდებობა
1	2	3
1.	რომან უშვერიძე	აღმასრულებელი დირექტორი
2.	კონსტანტინე ბოკუჩავა	ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
3.	მზია სუქნიძე	მთავარი სპეციალისტი მართვის საკითხებში

4.	ზოია გურიელიძე	მთავარი სპეციალისტი ტექნიკურ საკითხებში
5.	კონსტანტინე დათუნაშვილი	წამყვანი სპეციალისტი ელექტროენერჯის გენერაციის ობიექტების ლიცენზირების საკითხებში
6.	გენადი მილაძე	წამყვანი სპეციალისტი სამართლის საკითხებში
7.	ირაკლი ჩომახიძე	წამყვანი სპეციალისტი ელექტროენერჯის პირდაპირ მომხმარებლებთან ურთიერთობის საკითხებში.

1	2	3
8.	სერგო ლაცაბიძე	წამყვანი სპეციალისტი ეკონომიკურ საკითხებში
9.	ეკატერინე იოსელიანი	წამყვანი სპეციალისტი ეკონომიკურ საკითხებში
10.	ლია თოქმაჯევა	წამყვანი სპეციალისტი ეკონომიკურ საკითხებში
11.	ნატო კოგზირიძე	წამყვანი სპეციალისტი ეკონომიკურ საკითხებში
12.	თეოდინა კვიციანიძე	წამყვანი სპეციალისტი სამართლის საკითხებში
13.	გელა ბადიაშვილი	წამყვანი სპეციალისტი (ინჟინერი) კომპიუტერული უზრუნველყოფის საკითხებში
14.	თამარ ლაფერაშვილი	ოპერატორი
15.	მარიამ სომხიშვილი	წამყვანი სპეციალისტი საბუღალტრო საკითხებში
16.	ნაირა მაისურაძე	საქმისმწარმოებელი
17-20	4 მუშაკი	უმცროსი მომსახურე პერსონალი
21-28	8 მუშაკი	კონსულტანტები

2.2. მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა

ა) ოფისი და მისი მოწყობილობა

კომისიას ჩამოყალიბების დღიდან (1,5 წელი) მუშაობა უხდება საკუთარი ოფისის გარეშე. ამ ხნის მანძილზე იგი მოღვაწეობს საპროექტო ინსტიტუტის ``ენერგოქსელპროექტის`` კუთვნილ შენობაში - თბილისი, ვეკუას ქუჩა #1; 6 ოთახი 130.0 კვ.მ ფართობით: ოთახები კეთილმოწყობილია და გამოყენებულია აღნიშნული ინსტიტუტის ძველი მოწყობილობა. 1998 წელს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ სემეკ-ს უზურფრუქტის წესით გამოუყო ახალი ოფისი ინსტიტუტ ``საქვიდროპროექტის`` შენობაში (ყაზბეგის პროსპექტი #45), ფართობით - 1332 კვ.მ. ამჟამად მიმდინარეობს ოფისის კეთილმოწყობა, რომლის დამთავრება მოსალოდნელია 1999 წლის მაისში.

ბ) კომპიუტერული და კავშირგაბმულობის ტექნიკა
კომისიას დონორული დანხარების სახით გადმოცემული აქვს და ამჟამად მის კუთვნილებაშია სხვადასხვა ტიპის 14 კომპიუტერი და 9 პრინტერი; აგრეთვე კავშირგაბმულობის ტექნიკა - 19 ტელეფონის აპარატი, მათ შორის 4 მობილური.

გ) სატრანსპორტო საშუალებანი: ამჟამად კომისიის განკარგულებაშია 4 ავტომანქანა, მათ შორის 3 ``ვოლგა`` და 1 ``ნივა``, რომლებიც მას გადასცა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ.

2.3. ფინანსური უზრუნველყოფა.

ა) სალიცენზიო გადასახდელი

“ელექტროენერგეტიკის შესახებ” საქართველოს კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად, კომისიის ძირითადი შემოსავალია სალიცენზიო გადასახდელი. იგი დადგინდა დარგში საანგარიშო წლის საქმიანობის მოცულობის პროგნოზის საფუძველზე და დაუწესდათ ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის და განაწილების ლიცენზიატებს. სალიცენზიო გადასახდელი გაანგარიშდა იმ ვარაუდით, რომ მას დაეფარა კომისიის საბიუჯეტო წლისათვის დაგეგმილი ხარჯები.

“კანონის” 42-ე მუხლის შესაბამისად სემეკ-მა 1997 წლის 5 ნოემბრის №3 დადგენილებით, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში 1997 წლის 12 ნოემბერს (№120013113), განსაზღვრა 1997-1998 წლების შუალედურ სალიცენზიო გადასახდელის გაანგარიშების წესი. ამ წესის თანახმად, სალიცენზიო გადასახდელის სიდიდე განისაზღვრება ფორმულით:

$გ = ეX ტXკ$. სადაც, გ - შუალედური სალიცენზიო გადასახდელი, ლარი; ე - ელექტროენერჯის საპროგნოზო რაოდენობა, რომელსაც აწარმოებს, ან გადასცემს, ან უწევს დისპეტჩერიზაციას, ან ანაწილებს შუალედური ლიცენზიატი, 1997 წლის აგვისტო-დეკემბრის და 1998 წლის პერიოდში, კილოვატსაათი; ტ - კომისიის მიერ შუალედური ლიცენზიატისთვის დადგენილი ტარიფი, ლარი/კვტსთ;

კ - შუალედური სალიცენზიო გადასახდელის კოეფიციენტი: ა) წარმოების შუალედური ლიცენზიატებისათვის:

-საქენერგოგენერაციის ელექტროსადგურები - 0.0016 (ენგურჰესი, ვარდნილჰესის კასკადი)

-თბოელექტროსადგურები - 0.001

-ჰიდროელექტროსადგურები - 0.002 ბ) გადაცემის და დისპეტჩერიზაციის შუალედური

ლიცენზიატებისათვის - 0.0025

გ) განაწილების შუალედური ლიცენზიატებისათვის - 0.002

იმ შემთხვევაში, როდესაც ამ წესით გაანგარიშებული ჯამური შუალედური სალიცენზიო გადასახდელი ნაკლებია 250 (ორას ორმოცდაათი) ლარზე, დაწესებულია ფიქსირებული შუალედური სალიცენზიო გადასახდელი 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის

ოდენობით.

ამ წესით გაანგარიშებულმა მთლიანმა სალიცენზიო გადასახდელმა 1997 წლის აგვისტოდან 1998 წლის ბოლომდე (სულ 17 თვე) შეადგინა 778874 ლარი, აქედან ელექტროენერგეტიკული სექტორის ცალკეული საფუნდების მიხედვით გეგმიური და ფაქტიური სალიცენზიო გადასახდელი უდრიდა (ლარი):

საფუნდების დასახელება	1997 წ. აგვისტო -1998 წელი, სულ		
	პროგნოზი	ფაქტიური	%
წარმოება გადაცემა	266 481	53951 49	20.2
დისპეტჩერიზაცია	197 500	440 72285	25.0
განაწილება	160 000	51 173	45.2
	154 893		33.0
სულ	778 874	226849	29.6

სალიცენზიო გადასახდელი სრულად გადაიხადეს სს ``საქრუსენერგომ``, ახმეტის, ბოლნისის, გარდაბნის, რუსთავის, ახალგორის, ნაშურის, ლანჩხუთის, საჩხერის, გორის და სხვა ენერგოკომპანიებმა; ჩითახეგჰესმა, ორთაჭალაჰესმა, თეთრინევიჰესმა, მარტყოფჰესმა, აბჰესმა და სხვებმა.

სალიცენზიო გადასახდელი ნაწილობრივ გადაიხადეს: თბილსრესმა (4,9%), რიონჰესმა (14.3%) ძეგრულაჰესმა (11.3%), აწჰესმა (12%), ბათუმის ენერგოკომპანიამ (25.5%), ბორჯომის (19.8%), კასპის (32.7%), ჭიათურის (20.3%) და სხვა ენერგოკომპანიებმა.

ბ) ტექნიკური დახმარება;

სემეკ-მა საანგარიშო წელს საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მნიშვნელოვანი დახმარება მიიღო, რის გარეშეც კომისია, ვერ შეძლებდა თავისი ფუნქციების ჯეროვნად შესრულებას.

სემეკ-ის ტექნიკურ დახმარებას ძირითადად ახორციელებს მსოფლიო ბანკი და USAID-ი (აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო). 1998 წელს მსოფლიო ბანკმა კომისიას გამოუყო 100 ათასი აშშ დოლარი, მათ შორის - 30 ათასი ტექნიკური აღჭურვილობის მიზნით და 70 ათასი -ადგილობრივი სპეციალისტების დასაქირავებლად.

თითქმის ამდენივე თანხა (95 ათასი აშშ დოლარი) გამოუყო სემეკ-ს 1998 წელს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ. აქედან 55 ათასი მოხმარდა ტექნიკურ აღჭურვილობას (კომპიუტერები, გასამრავლებელი ტექნიკა, ტელეფონის აპარატები, ოფისის ავეჯი და სხვა), ხოლო 40 ათასი დაინარჯა კომისიის სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე.

USAID-ის ფინანსური დახმარებით რამდენჯერმე მოეწყო უცხოეთში ტრენინგი კომისიის წევრებისა და აპარატის მუშაკებისათვის, კერძოდ, უნგრეთში, უკრაინაში, პოლონეთში და აშშ-ში.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საერთაშორისო ორგანიზაციები სემეკ-ს უწევენ ტექნიკურ დახმარებას. ეს შეეხება, პირველ რიგში, ამერიკულ საკონსულტაციო ფირმა ``ჰაგლერ ბაის``. ამ ფირმის სპეციალისტებს ხშირი შეხვედრები აქვთ კომისიის წევრებთან და

აპარატთან. მათი უშუალო დახმარებით გასულ პერიოდში დამუშავდა სატარიფო მეთოდოლოგია, ლიცენზირების წესები და პირობები, საქართველოში ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის ჩამოყალიბების პრინციპები და სხვა. კომისიას დიდი დახმარება გაუწია ადგილობრივმა კონსულტანტებმა, რომელთა დაქირავება მოხდა საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით. საქმიანი კონტაქტები გრძელდება ამჟამადაც.

გ) სხვა შემოსავლები

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, 1998 წელს სემეკ-ი ფინანსდებოდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ამ წელს სახელმწიფო დაფინანსება გათვალისწინებული იყო 16400 ლარის ოდენობით. ფაქტიურად მიღებულმა თანხამ შეადგინა 10216 ლარი, ანუ 62,3%.

საანგარიშო წელს სემეკ-ის შემოსავლების გარკვეულ ნაწილს (დაახლოებით 15% საერთო შემოსავლებისა) წარმოადგენდა ფინანსთა სამინისტროდან აღებული კრედიტი - 56750 ლარი 20%-იანი წლიური საპროცენტო განაკვეთით, აგრეთვე ტარიფის დადგენის საფასური - 16700 ლარი, სულ 73450 ლარი. 1998 წლის ბოლოს მთლიანად დაფარულ იქნა აღებული კრედიტი და ძირითადად გადახდილ იქნა კრედიტის საპროცენტო გადასახდელი.

III. საანგარიშო პერიოდში სემეკ-ის მიერ გაწეული საქმიანობა

3.1. ტარიფების დადგენა და რეგულირება.

“ელექტროენერჯეტიკის შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად საქართველოს ელექტროენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) ერთ - ერთი ძირითადი ფუნქციაა ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, განაწილების საბითუმო და მოხმარების საცალო ტარიფების დადგენა და რეგულირება.

ამ მიმართულებით კომისია ინტენსიურ საქმიანობას წარმართავს, რამეთუ სწორი სატარიფო პოლიტიკის გატარება უმნიშვნელოვანესი პრობლემაა არამარტო ელექტროენერჯეტიკული სექტორისათვის, არამედ მთლიანად საქართველოს ეკონომიკისათვის და მათ შორის ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმების წარმატებით განხორციელებისათვის.

როგორც ცნობილია, 1997 წლის 1 აგვისტოდან საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 28 ივლისის №389 ბრძანებულებით, “მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიებებისა და ელექტროენერჯეტიკაში ფასწარმოქმნის საბაზრო სისტემაზე ეტაპობრივად გადასვლის შესახებ”, ქვეყანაში ელექტროენერჯის ყველა კატეგორიის მომხმარებლებისათვის, მათ შორის მოსახლეობისათვის გამანაწილებელი ენერჯოკომპანიებისაგან შესასყიდი ტარიფი დაწესდა 4.5 თეთრი ერთი კილოვატსაათისათვის.

აღნიშნული ბრძანებულებიდან გამომდინარე, სემეკ-მა 1997 წლის 8 ოქტომბრის №4

დადგენილებით, შემოიღო ელექტროენერჯის ტარიფები სექტორის შიგნით წარმოებისათვის, გადაცემა-დისპეტჩერიზაციისათვის და განაწილებისათვის.

ტარიფი ინდივიდუალურად დაუწესდა საქართველოს თითქმის ყველა ელექტროსადგურს. ამ დადგენილებით, ტარიფი 1 კვტსთ-ზე ჰესებისათვის ცვალებადობდა 0.9-დან 2.0 თეთრამდე და საშუალოდ შეადგენდა 0.98 თეთრს; ხოლო თესებისათვის - 4.3-დან 6 თეთრამდე. ყველა ტიპის ელექტროსადგურებისათვის ტარიფი საშუალოდ შეადგენდა 1.80-1.85 თეთრს თბილისრესში ელექტროენერჯის გამომუშავების მოცულობის შესაბამისად.

“საქენერჯოს” მიერ გამანაწილებელ ელექტროკომპანიებზე გაცემული 1 კვტსთ ელექტროენერჯისათვის ტარიფი დაწესდა: მაღალ ძაბვაზე (35 კვ; 110 კვ) - 3.1 თეთრი; საშუალო ძაბვაზე (6 კვ; 10 კვ) - 3.3 თეთრი; ხოლო საშუალოდ “საქენერჯოსათვის” (გარდა თბილისისა და დუშეთისა) ტარიფი შეადგენდა 1.2 თეთრს და “თელასისა” და დუშეთის ენერჯოკომპანიებისათვის - 1.4 თეთრს კვტსთ.

შემოთქმულის მიხედვით, ქვეყანაში ელექტროენერჯის ერთიანი ტარიფის (4.5 თეთრი/კვტსთ) 41.1% მოდიოდა მწარმოებლებზე, 30.0% -გადაცემა-დისპეტჩერიზაციაზე და 28.9% - განაწილებაზე; უნდა ითქვას, რომ სატარიფო დაყოფის ასეთი სტრუქტურა დაახლოებით შეესაბამება მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში არსებულ პრაქტიკას.

იმ ეტაპზე ელექტროენერჯეტიკის სექტორში მოქმედი სხვადასხვა საფეხურის საბითუმო ტარიფის განსაზღვრისათვის მიღებული იყო უმცირესი ზღვრული დანახარჯების პრინციპი.

ტარიფების განსაზღვრას სემეკ-მა ძირითად კრიტერიუმად დაუდო ძაბვის სიდიდე, ანუ მომსახურების დონე. როგორც უკვე ითქვა, იგი მაღალ ძაბვაზე განისაზღვრა 3.1 თეთრი/კვტ.სთ და საშუალო ძაბვაზე - 3.3 თეთრი/კვტ.სთ ოდენობით. წინათ ასეთ მომხმარებლებს დახარჯული ელექტროენერჯის საფასური საბოლოო გასაყიდი ტარიფით (4.5 თეთრი/კვტ.სთ) უნდა აენაზღაურებინათ.

1997 წლის 8 თქტომბრის №4 დადგენილებით სემეკ-მა ელექტროენერჯის ტარიფის კორექტირება გაუკეთა ისეთ პირდაპირ, მსხვილ მომხმარებლებს, როგორცაა: ზესტაფონის ფეროშენადნობთა, რუსთავის ქიმიური, მეტალურგიული და ცემენტის ქარხნები; მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი, მეტროპოლიტენი, კასპის ცემენტის და ქუთაისის საავტომობილო ქარხნები, საქართველოს რკინიგზა, წყალთა მეურნეობის თბიექტები და სხვა. ამგვარი, მოხმარებული ელექტროენერჯის საფასური მათ მთლიანობაში შეუმცირდათ დაახლოებით 20 მლნ. ლარის ოდენობით წლიურად. ეს ისე მოხდა, რომ არ დაზარალებულა არც ერთი ლიცენზიატი. მათ ენერჯის საფასური მიიღეს გაწეული მომსახურების შესაბამისად.

ფფიქრობთ, ასეთმა გადაწყვეტილებამ მნიშვნელოვანი სტიმული მისცა ქვეყანაში მეწარმეობის განვითარებას. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას რომ უმცირესი ზღვრული დანახარჯების პრინციპით აგებული ტარიფი ნაკლებად შეესაბამება ტარიფების დადგენის საერთაშორისო სტანდარტებს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში აუცილებელია, რომ ელექტროენერჯის ტარიფები დადგინდეს მწარმოებელთა და მომხმარებელთა კომერციულ და კონკურენტულ ურთიერთობათა მეშვეობით. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ტარიფს მიეცეს თავისუფალი ცვალებადობის ისეთი საშუალება, რომელიც შეესაბამება ელექტროენერჯის მიწოდებისა და მოხმარების ინტერესებს. ამის შედეგად, ჯერ ერთი, უმჯობესდება გადაწყვეტილებების

მიღება როგორც მოხმარების, ისე ინვესტირების სფეროში, და მეორეც, თავისუფალი ფასის პირობებში ელექტროენერჯის ტარიფი დარეგულირდება ენერჯის სხვა ალტერნატიულ წყაროებთან მიმართებაში. გარდა ამისა, ელექტროენერჯის მოხმარების ღირებულება და მისი დამატებითი წარმოების მომგებიანობა კარგად აისახება წელიწადის სხვადასხვა პერიოდებში, სეზონურ ქრილში. ეს არის რთული საბაზრო მოდელი, რომელიც საჭიროებს სხვადასხვა საბაზრო კონცეფციისა და დაწესებულების არსებობას, სტაბილურ ფინანსურ სისტემას და ოპერაციებს, მოწინავე ტექნოლოგიებს და კომუნიკაციების მაღალ დონეს.

საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად ელექტროენერჯის ტარიფების დადგენის ახალი წესისა და მეთოდოლოგიის შემუშავება, თავისი ფუნქციიდან გამომდინარე, სემეკ-ს დაევალა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 17 მარტის №81 განკარგულებით “სტრუქტურული გარდაქმნის გაფართოებული მექანიზმის (ESAF) 1998 წლის პროგრამისა და სტრუქტურული გარდაქმნის მეორე კრედიტის (SAC-II) განხორციელების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ”.

ამ დაგეგმვის შესაბამისად სემეკ-ის მიერ დამუშავდა ტარიფების გამოთვლის ახალი მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზე დადგინდა ელექტროენერჯის ახალი ტარიფები (ამის შესახებ დაწვრილებითაა საუბარი ქვემოთ). აღმოჩნდა, რომ იმ დროს მოქმედი სატარიფო განაკვეთები, მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის მთლიანად ამოღების შემთხვევაშიც კი სრულად ვერ ფარავდნენ ელექტროენერჯის წარმოებაზე, გადაცემაზე, დისპეტჩინგზე და განაწილებაზე გასაწევ საექსპლუატაციო დანახარჯებს, რომ არაფერი ვთქვათ დარგის რეაბილიტაციისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის საჭირო ფინანსურ უზრუნველყოფაზე. ეს ერთერთი მიზეზია იმისა, რომ ამჟამად ელექტროენერჯეტიკის სექტორი მუშაობს არამდგრად, ავარიულ რეჟიმში, ადგილი აქვს ხშირ გამორთვებს, ენერგეტიკული სისტემის სრული დაშლის შემთხვევებს, რაც მკვეთრად უარყოფით გავლენას ახდენს ყველა კატეგორიის მომხმარებლის საიმედო ელექტრომომარაგებაზე. აღნიშნული მოვლენა და ძველი სატარიფო სისტემა მიუღებელია ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორებისათვის, რაც აფერხებს დარგში ასე საჭირო ინვესტიციების მოზიდვას.

ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ მომხმარებლისათვის დაბალ ძაბვაზე მისაყიდი ტარიფის მინიმალური დონე მთელი ენერჯის სისტემის რეაბილიტაციის ჩაუთვლელად უნდა იყოს გაცილებით მეტი. სრულიად ნათელია, რომ ელექტროენერჯის ტარიფის ნახტომისებური გაზრდა დღევანდელი საქართველოს პირობებში დაუშვებელია, ამიტომ კომისიამ შეიმუშავა ტარიფის ეტაპობრივად გაზრდის მექანიზმი 2000 წლამდე პერიოდისათვის.

კომისიის დადგენილებით (№4, 1998 წლის 11 აგვისტო), რომელიც გაზეთ “საქართველოს რესპუბლიკაში” გამოქვეყნდა 1998 წლის 9 სექტემბერს, მომხმარებლის საცალო ტარიფი გაზდა 6 თეთრი/კვტსთ.

დასაწყისში 6 თეთრის შემოღება გათვალისწინებული იყო 1998 წლის ივნისიდან და უნდა დამთხვეოდა საბიუჯეტო სფეროში დასაქმებულ მუშაკთა და მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებების გატარებას. რადგანაც უკანასკნელის განხორციელებამ გადაიწია 1 სექტემბრისათვის, ამიტომაც მთავრობის ეკონომიკური ბლოკის ხელმძღვანელებთან კონსულტაციების შემდეგ ახალი ტარიფის შემოღების ვადად განისაზღვრა 1 ოქტომბერი. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 11 აგვისტოს №469 ბრძანებულებით განხორციელდა ხელფასებისა და

პენსიების გაზრდა.

ტარიფის სტრუქტურა შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ელექტროენერჯის წარმოება იმპორტული ენერჯის ჩათვლით - 2.5 თეთრი/კვტსთ (საცალო ტარიფის 41.7%), გადაცემა საშუალოდ - 1.4 თეთრი (23.3%), დისპეტჩერიზაცია - 0.3 თეთრი (5.0%) და განაწილება - 1.8 თეთრი /კვტსთ-ზე (30.0%).

ზოგადად დღეისათვის საქართველოში ახალი ტარიფის განსაზღვრის ამოსავალი პრინციპია ელექტროენერჯის მომწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების სრული ღირებულება, აგრეთვე გათვალისწინებულია შემდეგი კრიტერიუმები:

- ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა;
- რესპუბლიკის ფაქტიური და პროგნოზული ელექტრობალანსი;
- ელექტროენერჯის ექსპორტ-იმპორტი;
- ელექტროსადგურების ტიპი, სიმძლავრე, გამომუშავება და ა.შ.
- ელექტროენერჯეტიკულ საწარმოთა ძირითადი საწარმოო ფონდების ნარჩენი (რეალური) ღირებულება;
- ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო სისტემა.

3.2. სატარიფო მეთოდოლოგიის შემუშავება

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 17 მარტის №81 განკარგულებით, საქართველოს ელექტროენერჯეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას დაევალა ელექტროენერჯის ახალი სატარიფო მეთოდოლოგიის შემუშავება.

ამ დავალების შესრულების მიზნით და “ელექტროენერჯეტიკის შესახებ” კანონის შესაბამისად, კომისიამ საქართველოს შესაბამის უწყებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ხანგრძლივი კონსულტაციებისა და აზრთა ურთიერთგაზიარების შემდეგ შეიმუშავა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებული ელექტროენერჯის ტარიფის განსაზღვრის წესების მსგავსი და საქართველოს პირობებისათვის მისაღები, საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე აგებული მეთოდოლოგია.

აღნიშნული მეთოდოლოგიის პროექტი დაეგზავნა საქართველოს პრეზიდენტის კანცელარიას, პარლამენტს, ეკონომიკის, ფინანსთა და სატობ-ენერჯეტიკის სამინისტროებს, აგრეთვე დარგობრივ ინსტიტუტებს და მსხვილ ელექტროენერჯეტიკულ საწარმოებს. მიღებული შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ მეთოდოლოგია დამტკიცდა, გაიარა რეგისტრაცია იუსტიციის სამინისტროში და სამოქმედოდ იქნა შემოღებული 1998 წლის ივლისიდან.

ახალი სატარიფო მეთოდოლოგია შეესაბამება “ელექტროენერჯეტიკის შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნებს და ითვალისწინებს საქართველოს ელექტროენერჯეტიკის სექტორის დღევანდელ ტექნიკურ, ეკონომიკურ და ფინანსურ მდგომარეობას. “მეთოდოლოგია” ეფუძნება ელექტროენერჯის მომწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურების სრულ ღირებულებას და შეიძლება გამოყენებულ იქნას ტარიფის დასადგენად ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემა-დისპეტჩერიზაციისა და განაწილების საფეხურებზე.

ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრული ელექტროენერჯის ყველა

საფენურის ტარიფი:

- ითვალისწინებს ელექტროენერგეტიკულ საწარმოებში 1998 წელს გადაფასებული ძირითადი ფონდების მიხედვით განსაზღვრულ ამორტიზაციას;

- შესაძლებლობას აძლევს საწარმოებს დაფარონ მათ მიერ გაწეული ხარჯები, რომელიც მოიცავს საბაზრო ფასებში შექნილი საწვავის ღირებულებას, საქსპლუატაციო დანახარჯებს, მიმდინარე და კაპიტალური რემონტების დანახარჯებს, საბრუნავი კაპიტალის სახით აღებული სესხების ძირითადი თანხისა და პროცენტის გადასახადებს; ითვალისწინებს კაპიტალდაბანდებად ამონაგების მიზანშეწონილ დონეს, რომელიც საკმარისი უნდა იყოს დარგის რეაბილიტაციისა და განვითარების მიზნით ინვესტიციების მოსაზიდად. ამასთან ამონაგების ზომა უნდა შეესაბამებოდეს ინვესტირებასთან დაკავშირებულ რისკის ფაქტორს;

- ხელს უწყობს დარგის ფინანსური შედეგების ზრდას ექსპლუატაციისა და მართვის ეფექტიანობის ამაღლების და მომსახურებაზე დანახარჯების შემცირების გზით;

- ხელს უწყობს ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდას ელექტროენერგეტიკაში მოკლე და გრძელვადიანი ზღვრული ფასების დადგენით და ფასთა დინამიკის პროგნოზირებით, ელექტროენერგეტიკის წარმოების შესაძლო საჭარბისა და უკმარისობის გათვალისწინებით;

- შესაძლებლობას აძლევს საწარმოებს დაფარონ ეკონომიკურად გამართლებული დანახარჯები;

- ითვალისწინებს სახელმწიფო პოლიტიკას სატარიფო შეღავათების სფეროში იმის გათვალისწინებით, რომ დაუშვებელია მომხმარებელთა რომელიმე კატეგორიის სატარიფო შეღავათების სუბსიდირება ენერგეტიკის ან მომხმარებელთა სხვა კატეგორიის ხარჯზე.

საქართველოში ელექტროენერგეტიკის ახალი ტარიფის შემოღებამდე კომისიამ ქვეყნის ელექტროენერგეტიკული სექტორის თითქმის ყველა საწარმოდან შეაგროვა და გადაამუშავა ტარიფის გაანგარიშებისათვის საჭირო დიდალური ინფორმაცია.

3.3. ლიცენზირება

ელექტროენერგეტიკულ საწარმოთა ლიცენზირების პროცესის ნორმალურად წარმართვისათვის კომისიამ გაატარა ყველა შესაძლო ღონისძიება; კერძოდ, შეიმუშავა და იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციაში გაატარა დადგენილება “შუალედური ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ” (1997 წლის 5 ნოემბერი, №2). მომავალი ლიცენზიატებისათვის ჩატარდა ორი თათბირ-სემინარი, სადაც მათ განემარტათ “ელექტროენერგეტიკის შესახებ” კანონის მოთხოვნები, ლიცენზიის გაცემის წესები და პირობები, ყველა მათგანს გადაეცა სემეკის მიერ შემუშავებული დოკუმენტაცია შუალედური ლიცენზიის მისაღებად.

1999 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სემეკ-ის მიერ გაცემულია წარმოების 36, გადაცემის 2 დისპეტჩერიზაციის 1 და განაწილების 63 შუალედური ლიცენზია. სულ – 102. ამ მიმართულებით კომისია აგრძელებს ინტენსიურ მუშაობას, კომისიის მხრიდან ყველა პირობაა შექმნილი ელექტროენერგეტიკის სექტორში ლიცენზირების პროცესის დროულად წარმართვისათვის, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ელექტროენერგეტიკული საწარმოების გარკვეული ნაწილი დღემდე ლიცენზიის გარეშე აგრძელებს მუშაობას და არღვევს “ელექტროენერგეტიკის შესახებ” და სხვა კანონების მოთხოვნებს.

ლიცენზირების პროცესის დაჩქარების მიზნით, კომისიამ მიმართა სათბობ-

ენერგეტიკის სამინისტროს, ქალაქ თბილისის მერიას, პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულებს მხარეებში, მათდამი დაქვემდებარებული ელექტროენერგეტიკული საწარმოების მიერ შუალედური ლიცენზიების მიღების უზრუნველსაყოფად, მაგრამ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მხრიდან იგრძნობოდა აღნიშნული საკითხისადმი გულგრილი დამოკიდებულება.

დღეისათვის ულიცენზიოდ საქმიანობისათვის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების უფლება აქვთ საგადასახადო და მაკონტროლებელ ორგანოებს. კომისიის მიერ საგადასახადო ორგანოებისათვის გადაცემულია იმ საწარმოთა ნუსხა, რომლებიც ლიცენზიის გარეშე აგრძელებენ მუშაობას, მაგრამ სამწუხაროდ, შედეგი არც ამ ღონისძიებამ გამოიღო.

შუალედური ლიცენზია არ მიუღია რამდენიმე მცირე ჰესს, კერძოდ, იგოეთი ჰესს, მისაქციელი ჰესს, ღორეშაჰესს და სხვა, აგრეთვე ფოთის, სამტრედიის, ხონის, მარტვილის, აბაშის და სხვა განმანაწილებელ ენერგოკომპანიებს.

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 17 მარტის №81 განკარგულებით დამტკიცებული სტრუქტურული გარდაქმნის გაფართოებული მექანიზმის (ESAF) 1998 წლის პროგრამისა და სტრუქტურული გარდაქმნის მეორე კრედიტის (SAC-II) განხორციელების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკით, კომისიას დაგალებული ჰქონდა ელექტროენერგეტიკული სექტორის საწარმოთა დროებითი ლიცენზიების მუდმივი ლიცენზიებით შეცვლა. აღნიშნული დაგალების შესრულების მიზნით კომისიამ შეიმუშავა ნორმატიული აქტის პროექტი “ლიცენზირების წესები და პირობები ელექტროენერგეტიკის სექტორში”, რომელიც დაუროგდათ დაინტერესებულ უწყებებს და ორგანიზაციებს განსახილველად.

“თელასის” პრივატიზებასთან დაკავშირებით ამ სააქციო საზოგადოებას მიეცა მუდმივი ლიცენზიები ელექტროენერგის განაწილებისათვის და გადაცემისათვის.

3.4. ელექტროენერგის საბითუმო ბაზრის ჩამოყალიბების ძირითადი პრინციპების დადგენა

ელექტროენერგეტიკაში ფასდადგენის პროცესი მომავალში მჭიდროდ უკავშირდება საქართველოში საბითუმო ელექტრობაზრის ჩამოყალიბებას. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 2 ივლისის №421 ბრძანებულებით “საქართველოს ელექტროენერგის საბითუმო ბაზრის (სებ) ჩამოყალიბების ძირითადი პრინციპების შესახებ”, ასეთი ბაზარი ფუნქციონირებას დაიწყებს 1999 წლიდან. ამ დოკუმენტის დანიშნულებაა მოამზადოს ქვეყანაში ელექტროენერგის საბითუმო ბაზრის ჩამოყალიბების საფუძვლები და დასახოს სტრატეგია დარგში საბაზრო წესების დანერგვისათვის.

საბითუმო ფასწარმოქმნა ელექტროენერგის ბაზრის გამყიდველებისათვის ეფუძნება მომსახურების რეგულირებადი ღირებულების პრინციპს. მთავარი მიზანია ჩამოყალიბოს კონკურენტული და ეკონომიკურად ეფექტიანი ელექტროენერგის საბითუმო ბაზარი, შენარჩუნებული იქნას ენერგოსისტემის ერთიანი მდგრადი სტრუქტურა, შესაბამისობაში იქნას მოყვანილი პირდაპირი ურთიერთობანი საბითუმო ბაზრის წევრებს შორის, ხელი შეუწყოს ელექტროენერგეტიკის სექტორში ინვესტიციების მოზიდვას და სექტორის ლიცენზიატებს შორის საიმედო ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ და სემეკ-მა საკონსულტაციო ფირმა “ჰაგლერ

ბაი"-სთან ერთად 1998 წლის ზაფხულში შეიმუშავა "საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის (სებ) ჩამოყალიბების ძირითადი პრინციპები" და ამ პრინციპების განხორციელების გეგმა-გრაფიკი. ორივე დოკუმენტი დამტკიცებული იქნა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 20 ივლისის №421 ბრძანებულებით.

კომისიის ხელშეწყობითა და უშუალო მონაწილეობით შეიქმნა ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის დროებითი აღმასრულებელი საბჭო და საბაზრო წესების შემუშავების კომიტეტი; ფიქსირებული ვადით დაინიშნა საბითუმო ბაზრის მენეჯერი, გაფორმდა კონტრაქტები საბითუმო ბაზრის მენეჯერსა და ანგარიშსწორების მენეჯერს შორის.

გარდა ამისა, მომზადდა საბაზრო წესებისა და ტექნიკური სტანდარტების დეტალური პროექტები, რომლებსაც დაამტკიცებს სემეკ-ი "ელექტროენერჯეტიკის შესახებ" კანონში ელექტრობაზართან დაკავშირებული სათანადო ცვლილებების შეტანის შემდეგ.

3.5. პრივატიზაცია

ელექტროენერჯეტიკის სექტორში პრივატიზაცია დაიწყო ჯერ კიდევ 1994 წელს. პირველ ეტაპზე კერძო საკუთრებაში გადავიდა 21 მცირე ჰიდროელექტროსადგური, მ.შ. ყველაზე მძლავრია ჩითანგვიჰესი დადგმული სიმძლავრით 21 მგვტ, საშუალო წლიური გამომუშავებით 104 მლნ კვტსთ.

1998 წელს დაიწყო ფართომასშტაბიანი პრივატიზაციის პროცესი. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 5 ივლისის №403 ბრძანებულებით დამტკიცდა საქართველოს ენერჯოსისტემის კომპანიების პრივატიზაციის სტრატეგია. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 15 თქტომბრის №735 განკარგულებით ქვეყნის მნიშვნელოვანი ობიექტების პრივატიზების მუდმივმოქმედი საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში, ელექტროენერჯეტიკის სფეროს საკითხების განხილვისას, კომისიის წევრის სტატუსით შეყვანილი იქნა სემეკ-ის თავმჯდომარე.

1998 წლის თქტომბერში საქართველოს ქონების მართვის სამინისტრომ, ენერჯეტიკის პრივატიზაციის საკითხებში საქართველოს მთავრობის მრჩეველის საინვესტიციო კომპანიის "მერილ ლინჩის" მონაწილეობით ჩაატარა "თელასი"-ს პრივატიზაციის საერთაშორისო ტენდერი, რომელშიც გამარჯვებულად გამოვლინდა აშშ-ს კომპანია AES, რომელთან ორთვიანი მოლაპარაკებების შემდეგ 1998 წლის 22 დეკემბერს გაფორმდა "თელასი"-ს აქციათა 75%-ის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება. ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობდა სემეკ-ი.

ხელშეკრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო ელექტროენერჯის განაწილების ტარიფის 4 წლის განმავლობაში ეტაპობრივი ზრდის და გრძელვადიანი პერიოდით (10 წლით) მისი დამტკიცება. სემეკ-მა საფუძვლიანად განიხილა წარმოდგენილი გაანგარიშებები, და საინვესტიციო პროგრამაზე დაყრდნობით თანხმობა მისცა AES-ს გრძელვადიანი ტარიფის დამტკიცების შესახებ.

საერთოდ, საანგარიშო წლის განმავლობაში სემეკ-ი აქტიურად იყო ჩართული პრივატიზაციის პროცესში. კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 5 ივლისის №403 ბრძანებულების „საქართველოს ენერჯოსისტემის კომპანიების პრივატიზების სტრატეგიის შესახებ“, აგრეთვე ამ თემაზე სხვა ოფიციალური დოკუმენტების შესრულებისათვის, სემეკ-ი აგრძელებდა კონსულტაციებს დაინტერესებულ სამინისტროებთან და ორგანიზაციებთან. კონსულტაციების მიზანს წარმოადგენა ერთის

მხრივ, თელასის პრივატიზაციით მიღებული გამოცდილების შედეგად განსახელმწიფეობრიობას (აქციათა საკონტროლო პაკეტის გაყიდვა, იჯარაზე ან მართვის უფლებით გაცემა) დაქვემდებარებული ყველა ობიექტისათვის ცალ-ცალკე ეკონომიკური კრიტერიუმების შემუშავება, ხოლო მეორე მხრივ, ამ ობიექტების მდგომარეობისა და მათი სახელმწიფო ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისით მნიშვნელობის დადგენა.

სემეკს მიაჩნია, რომ:

1 წინასწარ უნდა გადაწყდეს შიგა დებიტორული და კრედიტორული ვალების რესტრუქტურის საკითხი. აგრეთვე უნდა მოხდეს დონორი ქვეყნების მიერ მიზნობრივი კრედიტების გადატანა საქენერგოდან საწარმოების აქტივებში.

2. პირველ რიგში პრივატიზაციას (უკიდურეს შემთხვევაში მართვის უფლებით გაცემას) უნდა დაექვემდებაროს გამანაწილებელი ქსელი.

სემეკ-ი ეთანხმება იმ აზრს, რომ წინასწარ საჭიროა გამანაწილებელი კომპანიების გაერთიანება ორ პაკეტად (აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო) ან ადმინისტრაციული მხარეების მიხედვით, რადგან ამჟამად არსებული 70-მდე ენერგოკომპანია ვერ ასრულებს მასზე ლიცენზიის პირობებით დაკისრებულ ფუნქციებს, ამავე დროს ასეთი დანაწევრებული საწარმოების შექმნა არ იქნება მიმზიდველი სტრატეგიული ინვესტორისათვის.

2 ელექტროსადგურების განსახელმწიფოება უფრო ღრმა შესწავლას მოითხოვს, კერძოდ:

ა. ელექტროენერჯის წარმოების მომავალი ინვესტორი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ის სრულად მიიღებს წარმოებული ელექტროენერჯის საფასურს. ეს შიგა ბაზარზე შესაძლებელი გახდება მხოლოდ გამანაწილებელი კომპანიების კერძო მფლობელობაში გადასვლის შემდეგ. სხვა შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ მწარმოებელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მთელ ენერჯის გაყიდვის საზღვარგარეთ, რაც დამკვიდრებული განურჩევლობის ფონზე კიდევ უფრო გაამწვავებს დღევანდელ ყიდვისუნარიანი მომხმარებლის ისედაც დეფიციტურ მდგომარეობას.

ბ. დასაზუსტებელია მომავალი ინვესტორის შერჩევის კრიტერიუმები, კერძოდ: ერთის მხრივ მიმზიდველია აზრი, რომ მოხდეს ელექტროსადგურების დაჯგუფება და მათი ერთ პაკეტად გაყიდვა მსხვილ ინვესტორზე, მეორეს მხრივ, აღნიშნული მეთოდით გაყიდვისას მივიღებთ მსხვილ მონოპოლიას, რაც ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ანტიმონოპოლიურ კურსს.

განსახილველია აზრი, რომ წარმოების სფეროში დაკმაყოფილდეთ საშუალო სიძლიერის ინვესტორის მოწვევით, რომელიც შეისყიდის საშუალო სიმძლავრეებს.

გ. ანტიმონოპოლიური მოსაზრებიდან გამომდინარე და „ელექტროენერჯეტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უნდა დადგინდეს გარკვეული კვოტა, თუ რა რაოდენობის გენერაციის აქციები შეიძლება შეიძინოს გამანაწილებელმა კომპანიამ და პირიქით – გენერაციის კომპანიამ განაწილების აქციები.

დ. ყურადღება უნდა მიექცეს სახელმწიფო ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, ამ მიმართულებით შესასწავლია წყალსაცავიანი ჰესების (ენგური, ჟინვალის, ხრამი ი) განსახელმწიფოების მიზანშეწონილობა. მით უმეტეს, რომ წყალსაცავებს აქვთ კომპლექსური დანიშნულება.

ე. ბოლო დროს დონორი ქვეყნების მიერ გამოყოფილი ხელსაყრელი კრედიტებით ხორციელდება ელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტები. ასეთებია თბილსრესი, ვარციხის ჰესების კასკადი, ენგურჰესი, ჟინვალჰესი, ლაჯანურჰესი და ხრამჰესი ირ. აგრეთვე არის წინადადებები სხვა ელექტროსადგურების აღდგენის შესახებ. უნდა შევისწავლოთ ხსენებული საწარმოების პრივატიზაციის სახელმწიფოსთვის

ხელსაყრელობის საკითხი: გაიყიდოს ეხლავე, თუ მათი აღდგენის შემდეგ.

ზემოთქმულის საფუძველზე ელექტროსადგურების განსახელმწიფოებრიობის სტრატეგია მოითხოვს დამატებით შესწავლას.

1 უნდა შეიქმნას სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული ელექტროსადგურების ტექნიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტაცია, რაც სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი მოთავე ორგანიზაციის სკ „საქენერგოგენერაციის“ პრეროგატივას შეადგენს. (სემეკ-ისთვის ცნობილია, რომ ეს პროცესი მიმდინარეობს, მაგრამ არ არის დასრულებული).

2 თელასის აქციათა 75%-ის გაყიდვის ხელშეკრულების გაფორმების პროცესში აღმოჩნდა, რომ სატენდერო პირობები შედგენილი იყო ხარვეზებით, რითაც ინვესტორს მიეცა საშუალება, რომ წამოეყენებინა საქართველოს კანონმდებლობისგან განსხვავებული მოთხოვნები. ამ შემთხვევის გამო ხელშეკრულების მისაღებ კონდიციამდე მიყვანისათვის დაიხარჯა დიდი დრო, სახსრები და ენერგია (ძირითადად ქონების მართვის სამინისტროსი).

ვფიქრობთ, რომ საფუძველს არ არის მოკლებული აზრი იმის შესახებ, რომ საინვესტიციო ბანკს „მერილ ლინჩს“ არ უნდა ჰქონდეს მინიჭებული ელექტროენერგეტიკული სექტორის პრივატიზაციაში სახელმწიფო მრჩეველის ექსკლუზიური უფლებები.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ გაფართოვდეს სატენდერო კომისიის პირობების შემმუშავებელი მუშა ჯგუფი ქართველი პროფესიონალი ენერგეტიკოსებისა და დარგობრივი მეცნიერების მოწვევით.

3.6. სხვა ფუნქციითა განხორციელება

კომისიის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ელექტროენერგეტიკის ლიცენზიატებს შორის, აგრეთვე მათსა და მომხმარებლებს შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების გადაწყვეტა თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

აღნიშნული ფუნქციის კომისიაზე დაკისრებას დიდი მნიშვნელობა აქვს დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე. ელექტროენერგეტიკაში ხშირად წარმოიშობა დაფა ისეთ საკითხებზე, რომელებიც სპეციალურ ცოდნასა და გამოცდილებას, აგრეთვე საკითხის

ობერატიულად გადაწყვეტას მოითხოვს.

კომისიას არაერთმა იურიდიულმა პირმა მომართა სადავო საკითხის გადასაწყვეტად, კერძოდ:

1. ლანჩხუთის რაიონის სასამართლოდან კომისიაში დაგის წინასწარი

გადაწყვეტის მიზნით შემოვიდა განცხადება ლანჩხუთის რაიონის გამანაწილებელი ენერგოკომპანია – სს „ენერგია“-სა და მის მომხმარებელს სს „მეგობრობა“-ს შორის წარმოშობილი სადავო საკითხის გადასაწყვეტად.

მომხმარებელი – საკონსერვო ქარხანა მოითხოვდა 24 საათიან უწყვეტი გრაფიკით ელენერგის მიწოდებას; ყოველ შეწყვეტაზე ფულად ჯარიმებს. ენერგოკომპანიას ამჟამად არ გააჩნია არც უფლება და არც საშუალება, რომ დასდოს მომხმარებელთან ასეთი კაბალური ხელშეკრულება, რადგანაც ერთის მხრივ ენერგის მიწოდებაზე დამოკიდებულია საქენერგოზე, ხოლო მეორე მხრივ სს „მეგობრობა“-ს კვება არ

არის განმხილველი. ამიტომ კომისიამ გამოიტანა გადაწყვეტილება ენერგოკომპანიის სასარგებლოდ, რაც საკმარისი აღმოჩნდა სასამართლოსათვის.

მომავლისათვის გადახედულ მომხმარებელს უნდა შეექმნას ენერგომომხმარებლის სასურველი პირობები.

2. საირიგაციო სისტემებზე განთავსებული ჰესებისათვის წყლის მიწოდების ხარჯების ანაზღაურების შესახებ სადავო საკითხის გადასაწყვეტად კომისიას მიმართეს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტის და სიონ-სამგორის და სხვა ამგვარ სისტემებზე განთავსებული ჰესების ხელმძღვანელებმა.

კომისიამ განიხილა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები აღნიშნული საკითხების დასარეგულირებლად.

2 კომისიამ განიხილა შპს "საცხენისი"–სა და შპს "სიონჰეს"–ს შორის წარმოშობილი სადავო საკითხი შპს "საცხენი"–ის მიერ შპს "სიონჰესი"–ს მომხმარებლებისათვის ელექტროენერჯის გამოთვლის თაობაზე, აგრეთვე შპს "სიონჰესი"–ს მიერ შპს "საცხენისიჰესი"–სათვის მათ საერთო სარგებლობაში არსებულ ელექტრომომწოდებლობების ექსპლუატაციის ხარჯების გადახდის შესახებ.

